ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4352685

ნომერი: AR1657023

თარიღი : 23.01.2019

გაცემის თარიღი : 28.01.2019

გაცნობის თარიღი : 13.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი მელიქიშვილის ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01001026680
- თბილისი

ორგანიზაცია:

- შპს შოანდე კოდი: 406139520

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2282103
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.05.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილ იქნას -3,20 და 0,00 ნიშნულის აზომვითი ნახაზი პანდუსისა და ყველა ცვლილების მონიშვნით (დეტალური ზომების დაფიქსირებით). აზომვით ნახაზზე ასევე მიუთითეთ პანდუსის დახრის პროცენტულობაც.
- მოეწყოს ტამბური პროექტის შესაბამისად.
- დაუშვებელია ლიფტის წინ საფეხურები ვინაიდან იზღუდება შშმპ მისაწვდომობა.
- მოეწყოს ყველა პანდუსი პროექტის შესაბამისად.
- დაუშვებელია სახელმწიფო მიწაზე მოეწყოს საყრდენი კედლები (მოიყვანეთ აღნიშნული თქვენს საკადასტრო საზღვრებში)
- ფასადებზე მოწყოს ღიობები გათბობის მილისთვის მხოლოდ პროექტის შესაბამისად, ასევე ანტებები, კონდენცირების აგრეგატები, გამწყოვილი მილები დასაშვებია მხოლოდ პროექტის შესაბამისად.
- მოიხსნას ყველა სახის რეკლამა შენობიდან.
- დასრულდეს ლესვითი და სამღებრო სამუშაოები
- წარმოადგინეთ კონსტრუქციული დასკვნა დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე.

- ყველა შესრულებილი საკითხი ამოღებულ იქნას მუნიციპალური ინსპექციის დოკუმენტიდან და ყველა მოთხოვნილი ნახაზი დამოწმდეს მათ მიერ.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.